

## მუსახე სოციალიზმი

### ერთი ტიპის გაორკეცებული სირყვების შესახებ ერთულში

ფუძის გაორკეცება სიტყვებარმოების ერთ-ერთი საშუალებაა. იგი მრავალ ენაშია გავრცელებული. მნიშვნელოვანია მისი წილი ქართული ენის სიტყვაწარმოებაშიც. ა. შანიძის, გ. დევატერსის, ვ. თოფურიას, ფ. ნაიერის, ლ. კვაჭაძის, ივ. იშნაიშვილის, ვ. იმნაიშვილის, ფ. ერთელიშვილის, ლ. სანიკიძისა და სსვათა შრომებში შესწავლითი რედუპლიკაციის საკითხები ქართველურ ენებში, გამოვლენილია რედუპლირეციის ტიპები. რედუპლიკაციის მოსავალი მნიშვნელობა სიმრავლე-ინტენსივობა-განმეორადობის გამოხატვა; სხვა მნიშვნელობები აქვთ უნდა მომდინარეობდეს<sup>1</sup>.

როგორც სტილისტიკური საშუალება, ფუძის გაორკეცება ქართულში გამოიყენება ხარისხის (უფროობის) გადმოსაცემადაც. ამგვარი ფუძეგაორკეცებული კომპონიტები საგნის ამა თუ იმ ნიშანს მეტი თდებობით გამოსახავს: დიდ-დიდი, ცხელ-ცხელი, წვრილ-წვრილი...<sup>2</sup>. ეს არის ფუძის გაორკეცების მარტივი შემთხვევები — ფუძეულელი გაორკეცება. „უფროობას“ გადმოსცემენ იმგვარად გაორკეცებული სიტყვებიც, რომელთა შემაღებენ ნაწილები ერთმანეთის მიმართ მსაჩდევოლ-საზღვრულის დამოკიდებულებაში არიან — რედუპლირეციის ერთ-ერთი წევრი მარტული მსაჩდევრებია: ძველისძველი, მეტისმეტი, ახალთახალი, მოძღვართმოძვარი... ფუძეულელი მარტივი გაორკეცებული და მარტულშაბდერელიანი გაორკეცებული სიტყვები განსხვავებულნი არიან არა მსოლოდ წარმოებით, არამედ გამოყენების ზოვი თავისებურებითაც. შავ.: არ

<sup>1</sup> ქ. ლომათათაძე, რელაციულის დურციების აუსტერში, ენებეს მოაძეგ, ვ—ვI, 1940, გვ. 134.

<sup>2</sup> ვ. ზურაბ შვილი, ხარისხი ქართველურ ენებში, თუ შრომები, ტ. 67, 1957, გვ. 130.

დასტურდება არსებითი სახელების მარტივი გაორკეცება ხარისხის გამოსახატავად (შდრ.: მარტივად გაორკეცებული არსებითი სახელის ფუძე წყალ-წყალა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით არის „წყალივით თხელი, წყლიანი, წყალნარევი“)<sup>3</sup>. მართულმსაზღვრელიან გაორკეცებაში ფუძედ ზედსართავი სახელიც გვაქვს და არსებითიც (ძველისძველი... გულისგული); ზედსართავი სახელი, ჩვეულებრივ, მსაზღვრელად გვევლინება (ძველისძველი სახლი)...

მართულმსაზღვრელიანი გაორკეცებული სიტყვისთვის მნიშვნელობა არა აქვს მსაზღვრელის რიცხვს; მხოლოდით რიცხვში იქნება მსაზღვრელი, თუ მრავლობითში, მნიშვნელობა ერთი უჩანს: გულისგული || გულთაგული, ძველისძველი || ძველთაგველი... ოღონდ ამგვარი პარალელური ფორმები მხოლოდით-მრავლობითისა იშვიათია.

მარტივად გაორკეცებული ფუძეები ხარისხს გამოხატავენ მმ შემთხვევაში, თუ ერთ საგანს მიემართებიან: შავ-შავი კაცი, ლამაზ-ლამაზი გოგო... მაგ.:

ბერძნულის მასწავლებელი შავ-შავი სერლი კაცი იყო (ვაჟი).

თუ საზღვრული მრავლობითშია, მაშინ ამგვარი გაორკეცება, როგორც ჩანს, უფრო სიმრავლეს გამოხატავს:

ამირიჯი, ჩამარიჯის წვრილ-წვრილ ლამბაქებინდამ (ხალხ.).

შდრ.:

უკლა ამ საჭმელუბს მოსდევდა... ციფ-ციფი... წითელი ღვინო (ნ. ლომ.). [ზეარიკამ] ციფ-ციფი კოჭის თავა ქვაბილიან ამოაბრძანა (თ. ჩაზიქ.). თ, ერთი ლამაზ-ლამაზი გოგო... მოკიდა (დ. ჭორქ.).

და:

სოლის გარშემო ალგოლები სულ სისხ იყო ციფ-ციფი წყაროებითა (ი. გოგებ.). დედაქაცი გამოეტანა ხელად ხონის კარგი ცხელ-ცხელი მჭადები, უველი და ღვინო (გ. წერტილი).

მრავალი ლამაზ-ლამაზი ტიკინები, ამფეტინი სისხ ყუთები მოკენდათ მას-თან (ნ. ლომ.).

გაორკეცების ეს სახეობები მნიშვნელობის ნიუანსითაც განსხვავდებიან (მართალია, ასალ-ახალი = ახალთახალი, მაგრამ ეს ერთეული შემთხვევაა). საინტერესოა, რომ ქეგლ-ში ხარისხის აღმნიშვნელი გაორკეცებული ფუძეები უმეტესად განსხვავებულად

<sup>3</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ლევალი), არნ. ჩიქობავას ხატთო რედაქციით, ტ. I—VIII, თბ., 1950—1964 წწ.

არის განმარტებული: მაღალ-მაღალი „საქმაოდ მაღალი”, შავ-შავი „საქმაოდ შავი”, წერილ-წერილი „საქმაოდ წერილი”, ლა-მაშ-ლამაში „საქმაოდ ლამაში” (შაგრამ — ცხელ-ცხელი „ძალიან ცხელი”, დიდ-დიდი „დიდი და დიდი” || მოდიდო...). შერ.: მეტის-მეტი „ზომაზე მეტი, ნამეტანი”, ძველთაძეველი „ძალიან ძველი”, ძველისძველი „უძველესი”, ძალთაძალი „მეტად დიდი, უდიდესი ძალი” || ძალთაძალ:

[შევკრჩა] ის, რც ცოლერების ძალთა-ძალის შეადგენს — დედა ენა (აკაკი). ბევრის-ბევრი „ძალიან ბევრი, უთვალავი, აურაცხელი, უამრავი”:

ნახს ჭალაჟი მოცული გარე ბალის ტყერითა, გვარიდ უცხონი ყვავილი, ფერითა ბევრის-ბევრითა (რუსთველი)...

ერთცნებიანი ფუშებაორეკეცებული კომპოზიტები, რომელთა პირველი ნაწილი ნათესაობით ბრუნვაში დგას, ძველ ქართულში განხილული აქვს ივ. იმნაიშვილს<sup>4</sup>. ეს ფორმებია: გარის-გარე, ზატიკის-ზატიკი, ზოგის-ზოგი, ზღუდის-ზღუდე, კიდის-კიდე, შიგნის-შიგანსა, ციხის-ციხე, კიდის-კიდი. მნიშვნელობის მიხედვით ზოგს არსებითი სახელის გაგება აქვს, ზოგს — ზედსართავისა, ზოგს კი — ზმნიზედისა. მსაზღვრელი შეიძლება მრავლობითშიც იდგეს და ამ დროს „მსაზღვრელი სიტყვის აზრი უფრო მკაფიოდ ჩანს”, უფრო მეტად „იგრძნობა კომპოზიტის შემადგენელ ნაწილთა დამოუკიდებელი მნიშვნელობა”<sup>5</sup>. ივ. იმნაიშვილი აღნიშნავს წარმოების იმ თავისებურებას, რაც ამგვარად გაორკეცებულ კომპოზიტებს ასასიათებს — მარტივი ბრუნვის ნიშნები როგორც მხოლოდითში (-ის), ასევე მრავლობითში (-თ).

მართულმსაზღვრელიანი გაორკეცებული სიტყვები დასტურდება ოთახე პეტრიწის თხზულებებშიც:

ხატი კოველი იგავთანია ხატი, კოთარლა იტკას პლატონ, არამედ შენაო ლ-შეული, კოველი დიპტეს იგავთა და იგავთას იგავთა, ხოლო აქა-ესე ნა-ხიძლი დიომას — ხატთა და ხატის ხატთა (II, § 50, გვ. 108, 22—25). იმეცნი, რომელ ხრონისა ფარი ეყრ გარდამოტეტეტეს, არამედ ძალით ოდენ კრისა, ხოლო კრისა — ნაწილი ას და ნაწილის ნაწილი ხრონისა (II, § 50, გვ. 108, 30). იგავთაგან ხატთა და ხატის-ხატთა და ვიდრე აქა განნაცეულებულია

<sup>4</sup> ივ. იმნაიშვილი, სახელის ბრუნება და პრუნვათა უზნებული ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 197.

<sup>5</sup> იქ 3 გვ. გვ. 198.

არსებისაღმი შეიცნე დერპი და კერპის-კერპი და ძალი და მოქმედებად  
უკეთი დამრუმებულიდ (II, § 18, გვ. 55, 16—18)<sup>6</sup>.

„ვეფხისტყაოსანში“ ჩვენთვის საინტერესო გაორეცებული სი-  
ტყვები გვხვდება როგორც მხოლოდითის, ასევე მრავლობითის  
ფორმით<sup>7</sup>:

მაწყინე და გამარისხე, ვერ დავიღო ღილანს სულ,  
ასომ რომე გავითრივე შენ, უაზირი გულის-გული (814, 4).  
იგი შეინი მიეგებნენ, მოხხვენეს გულის-გულად (1630, 4).  
ქალს ტრტმლი გარდმოსცვიდა ას ნაცეცი, ბერის-ბერიად (272, 1).  
სატურქლენი გარდავნაზნ თავის-თავის, კიდის-კიდე (460, 1).  
დააშეცნეო ერთმანერო, თავის-თავის ზე დასჭებით (1450, 4).  
ევთაწლილ გავლო ქალური მით ევბროთა ტანითა,  
ზღვის პირსა სახლი ნაგები და ქართა წათელ-მწერნითა,  
ქვეშეოთე სროთა ტურფითა, კულ ზელათ ბანის-ბანითა,  
რიდროვანით ტურფითა მრავლოთა თანის-თანითა (1112).  
სრტლად ნათლითა აივი ზეუდე და ბანის-ბანია (1621, 2).  
მას ევთაწლილ თავეანის-სცა, ლომთა ლომმან მზეთა მზესა  
(685, 1).  
ას, მშეო, გვაფები შენ, უმძლესთა მძლეოთა მძლესა (951, 2).  
დაწერა: „ურიდონ მაღლალ, სევარქლო, ვე ვეთ-მე უთო“ (1318, 1)...

საიღუსტრაციო მაგალითებში რიგ შემთხვევაში უფროობად  
წარმოდგენილი (გულის-გული, ბეგრის-ბეგრად...), სხვა შემთხვე-  
ვებში — ინტენსივობა (თავის-თავის...) და სიმრავლე (ბანის-  
ბანი...).

სარისსის მნიშვნელობა „ვეფხისტყაოსანში“ გამოისატება მსაზ-  
ღვრელ-საზღვრულის შებრუნებული წყობითაც:

შე ლომი ლომთა ღილივი გეერდსა შენ, მზესა მზეთასა (1542, 4).  
მაკოცეს, ღეგვ თრინევე, თეოთ ეგვ მზენი მზეთანი (487, 3).  
ტარიელ უთხრა: „შენ დაჯე, სწავლინ ბრჭეთა ბრჭეთასა“ (1542, 2).

ნათესაობითმსაზღვრულიანი გაორეცებული სიტყვები დასტურ-  
დება „ქართლის ცხოვრებაში“: ცალკეული ფორმები გვხვდება არჩი-  
ლის, დ. გურამიშვილის, ვახტანგ მევექსისა და სხვა მწერალთა  
თხშულებებში:

<sup>6</sup> ითანე პეტრი შემმები, II, გამარტებად პროელესაფეს დაიდო  
ხსნისა და პლატისტერისა ფალთხოფისათვეს, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა  
დაურთეს შ. ნეცუ ბიქებ და ს. კაუხიშვილმა, თბ., 1937 (იმ მავნე  
ლოთებზე მიგვითავა ფალთხოფ შეცნ. დოქტორმა დამხმა მელიქიშვილმა).

<sup>7</sup> შოთა რუსთაველი, ველისტყაოსანი, თბ., 1951.

მოვიდეს მეფეთა-მეფესა და მზეთა-მზესა და დერთულთ-დერთულსა წინშე (ქ. ცხ., 103, 2).

მისი მისამართი მისი გორგის კლევა, მძღვანელი მძღვანელი (ქ. ცხ., 18, 20). უსერი ესევითი საგორი და მოსაწევარი მოსაწევარი... ესმა სამ მნათობიერსა შეფერ-მეფესაგან მეფე ქმნულსა თამარს გალაქსა შინა ტუილისა (ქ. ცხ., 24, 5).

### შებრუნებული წყობა:

არა დამორჩილდა მკენე მკენეთა და გოლიათი გოლიათი გოლიათი (ქ. ცხ., 7, 20).

სცენა-იგი იყო მზე მზეთა, ნათელი ნათელთა (ქ. ცხ., 51, 11—12)<sup>8</sup>. შენებრ გოზის-ბოზის მაჭავალი ქალი კი ენაბრება (არჩ., 205, 585).

არე, უარე, ურ დაუარე მის სიბრძნესა კარის-კარისად (არჩ., 232, 28). განა სურიოდთ, თუ თოვეა, სწყურიოდთ

თავთა წარევეთა ბევრის-ბევრებით (არჩ., 233, 40)<sup>9</sup>.

ბრძანს თვალს უხელდა ცის-ცისად არჩენდი ეშმაიერებოთ (გურ., 80, 127, 4)<sup>10</sup>.

კარგია კი ამხავი, მოკლე იყოს თუ გრძელები, კაცია აამოს, ასწავლის სიტყვანი ძველის-ძველი (ვახტ., 114). გარე გვარტყია შეი ზღვა, თეორი ზღვა კი დის კი დითა (ზექ., 19, 15—3)<sup>11</sup>.

მართულმასზღვრელიანი გაორჟეცებული სიტყვები უკესს იქიდებს ახალ ჭართულშიც. ქეგლ-ში დამოწმებულია ბევრის-ბევრი, მეტის-მეტი, კიდის-კიდე, ძველის-ძველი... მჯობნის-მჯობნი, მის-სის-მისისი, მძღოთა-მძღე, მოძღვართ-მოძღვარი, გმირთა-გმირი, ჭირთა-ჭირი... წარმოვადგენთ სათანადო მასალას თანამედროვე ქართული მწერლობიდან:

ყოველ ქართველში ომის ტრუობა  
ძველის ძველი (გალავტონი).

შენ არ იცი, ლექსო, დაღლა,  
გინდ იარო კი დი ისკი დე (ქ. ლეონ.).

ტკბილმა მოვონებამ გული-გულში გაუარა და გაულიმა (ქ. ლეონ.).  
რასაც ჩენ გულის გულით ვიგლოვებთ,

სხევების ულამდე თურმე არ დაია (შ. კახებე).

რათ აროვინთავთ სირცეების ლაქას, ქართველის მისხის მისხი  
(შ. კახებე).

<sup>8</sup> ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუ ხნიშვილის რედაქციით, თბ., 1959.

<sup>9</sup> არჩ. ილ. თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ალ. ბარაბიძისა და ნ. შერქენშვილის რედაქციით, ტ. I, თბ., 1936.

<sup>10</sup> დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, შემდგენელა ს. კაგიშვილი, თბ., 1980.

<sup>11</sup> ვახტანგ ზეგერესე, ლექსები სა პოემები, ალ. ბარაბიძის რედაქციით, თბ., 1975.

<sup>12</sup> იქ სე ტლაშაძე, ბაქარიანი, გამოსაცემად მომზადა სოლ. ყუბანევ-შეიალმა, თბ., 1962.

დიდი კარ, შეილო, მოხუცის მოხუცი, ღამძი ვაყვავ და აღირ გარგვისი  
(„პომ.“, 1984, № 67).

ხოლო ქრიტიკა, თუ შეიძლება თქვას, ასლის ასლია, იგი ლიტერატურიდან გამოღის და არა ცხოვრებიდან („ლიტ. საქ.“, 1984, № 12).

უ. ფოლენერმა და ა. კამიუმ საცნური გახადეს ეს ძირისძირი, რომლის ხილვა ჩვეულებრივ მოკადავთოს შეუძლებელია. („მნით.“, 1984, № 5, 159). წემმა გულის გულმა, ჩემმა სულის სულმა, წემმა სახარულის სიხარულმა უნდა დიძისხოს (რ. ინან.).

შლიდა და ჰერეფდა თევზება. ახალთ ახალსა. ცოცხალის ცოცხალსა (ო. ჩხ.).

ეს ცხოვრება — მოთავ უფრთ სწორედ — მითას მითი (ტ. ჭანტ.). არა! დღეობაზე დიქტოფონით უნდა ვისრო —

როგორც შპილმა, ან შპილნას შპილნმა, ანდა

შპილნა შეფშა და რეზოლენტბა (ტ. ჭანტ.).

ეს მარც ერთ მაკის ერთ მაკა (ო. ჩხ.).

ჩართო მანქანის რადიომიმღებიცა, უფროსმა, ცხადია, რო გაღმოსცემდა ისც რო ჯახა, სხევასა და მსგავსსა, მსგავსსა ს მსგავსსა (ო. ჩხ.).

მაგრამ მუნჯი ნიუტები, რომლებიც იმის იმან გამოგზიან, იმან რომ იმის ადგილზე დანიშნა... მოკონცებს ერ აუშლის

(„ობილ.“, 1984, № 28, 2).

სიტყვათა მართულმსაზღვრელიანი გაორკეცება დამასასიათებელია ხალხური სიტყვა-თქმებისთვის<sup>13</sup>:

გეტის-მეტი მაძიებელი მოკედა გუხარელიო (40, 285).

სიძის სიძეს წევენის წევენი (157, 2008).

შეილმა გული ვისრა, შვილის შვილმა გულის გული

(236, 3215).

ამბის ამბავი კაცი არ უნდა დოფეროსო (236, 3253).

კაცის კაციობი ყველა-იურიო (255, 3621).

მოციქულის მოციქული მატრაკელაო (260, 3721).

მომრევის მომრევი არ გამოილეთო (261, 3741).

წემი მტრის მტრი წემი მეგობარიო (278, 4114).

მოყვარეს შემოუტლია: მოყვარის მოყვარი კვდებაო,

მოკედა და ჯანი გავარდეს, სხვა უკეთეს მრჩებაო (357, 5464).

ვინჭირი ჭირის ჭირია, სატაცური ბალვარი... (383, 5944).

ოდენი, ოდნის ოდენი, თავი აქვს ვოდრის ოდენი... (498).

ხშირად გაორკეცებული ფუძეები თანდებულს დაირთავს და ზმინჯედის ფუნქციით გვევლინება:

გული გულში რაღაციო ნისიმორები დაჩხა (რ. ინან.).

ძილის ძილშიაც მარტო არ შტოებს („ლიტ. საქ.“, 1982, № 8, 8).

ძირის-ძირში დარღვეულიო („ლიტ. საქ.“, 1983, № 36, 13).

პოლიტიკი ქვეყნის ქვეყნანაზე დადის

(„ლიტ. საქ.“, 1983, № 48, 9).

<sup>13</sup> ხალხური სიბრძნე, V, ანდაზება, მახვილისტყვაობა, გამოცანები, თბ., 1964.

მასპინძლებმა კადის-კადებდე მთალივეს ჭიშკარი  
("ლიტ. საქ.", 1983, № 48, 9).

ამა, თქვენ წაღით ტყეში, ტყის ტყეში, მინდვრის მინდობში,  
კლდის კლდეზე, მე მანამდე მოვიფერებ და გაგუოფო მე ნიუობსთ.  
დავები წავიდნენ ტყის ტყეში, მინდვრის მინდობში,  
კლდის კლდეზე<sup>14</sup>.

უფროობითობის გადმოსაცემად ახალ ქართულში არცთუ იშვია-  
თად გამოიყენება ნართანიანი გაორკეცებული ფორმებიც, მაგ.:

უფრო შეტი შრომა საჭრო საწყისთა საწყისში — ბევრთა ფეხ-  
ბურთში ("ა. კომ.", 1984, № 30, 4).

იგი, ჩემი მირთ, ჩემპიონთა, ჩემპიონია ("ა. კომ.", 1984, № 31, 4).  
სამაგიეროდ, ნაციონალი და ძევლისასვა კულტურის ჩემპიონის ნაბიჯ,  
ათლეტური აღნივება, გმოხედვა და, საერთოდ, ჩემპიონთა ჩემპიო-  
ნის მართლაცდა ჩემპიონური იტი ("ლელო", 1984, № 52, 1).

მართულმსაზღვრელიანი გაორკეცებული სიტყვები სხვა ქარ-  
თულური ენებისთვისაც არ არის უცხო; დ. სანიკიძის სპეციალურ  
წერილში მოხმობილია მართულმსაზღვრელიანი გაორკეცებული  
სიტყვები მეგრულიდან და ჭარულიდან<sup>15</sup>: მეგრ.: მუშმუში „თავთა-  
ვისი“ (ზედმიწ. მის-მისი); შერ. მუში „მისი“ (59); ჭან.: ხეში-  
სეში ქოდოობდაფთ ესთ „კონა-კონა ვყრით ასე“ (65). ხეში-ხეში  
= „ხელისხელისად“; ასეთივე გაორკეცებაა მეგრ.: კილიშ-კილიშა  
„ძირისძირისად, ძირ-ფესვიანად“ (ზედმიწ. „ნაკლის-ნაკლისად“);  
სვან.: ხოშემიშ ხოშა „დიდის დიდი“, ჯვინდაშ ჯვინელ „ძველის-  
ძველი“, დოსკანეშ დოსკ „ადრინდელშე ადრე“ (ზედმიწ. „ადრეს  
ადრე“), მანკუში მანკუშ „ძირვანდელშე პირველი“...

მართულმსაზღვრელიანი გაორკეცება საერთო ქართული მოვ-  
ლენა ჩანს, თუმცა ამგვარი წარმოების გენეზისის დადგენისას ქალ-  
კირებაც არ უნდა გამოირიცხოს. განსაკუთრებით მრავლობითში  
დასმული მართულმსაზღვრელიანი გაორკეცებული სიტყვების მი-  
მართ შეიძლება ამის თქმა. შედრ.: თუ თას „ასმათის თან ჭამარტას  
„ქებათა ქება““ (შესაძლოა, ამგვარი გაორკეცება თავად ბერძნულის-  
თვისაც კალკა).

მართულმსაზღვრელიან გაორკეცებულ სიტყვებთან დაკავშირე-  
ბით რიგი საკითხი ისმის. ერთ-ერთი მათგანი დაწერილობის საკი-  
თხია. ამგვარი წარმოების ფორმები (როგორც მხოლოდითის, ასე-

<sup>14</sup> ხალხური სიბრძნე, II, ხალხური ზღაპრები, თბ., 1964, გვ. 152.

<sup>15</sup> ლ. ხანიკიძე, რედუქტოფაცია სვანურსა და ზანურში, იქნ., IV, თბ.,  
1977, გვ. 59, 65..

ვე მრავლობითისა) განსხვავებული დაწერილობით დასტურდება: იწერება ერთად, ცალ-ცალკე და დეფისითაც (გულისგული, გულის გული, გულის-გული). შეიძლება მსაზღვრელ სიტყვაში დაიკარგოს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი (ს) ელემენტი, ერთგვარობა დაწერილობაში ამ შემთხვევაშიც არ არის დაცული. შდრ.: გული-გულში (გ. ლეონ.) — გულიგულში (ჩ. ინან.). ერთგვარობა არ არის დაცული სათანადო ნორმატიულ ლიტერატურაშიც. ეს არცაა გასაკეირი, რადგან ანალოგიურ წარმოებას თუმცა დიდი ხნის ისტორია კი აქვს, მაგრამ სალიტერატურო ქართულში კერ კიდევ ნაკლებად არის ფესმოკიდებული: ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მეტისმეტი, პირისპირი ერთ სიტყვად არის დაწერილი, ბევრის-ბევრი — დეფისით. ჭირთაჭირი ერთი სიტყვაა, ძალია-ძალი, მძღეთა-მძღე დეფისით არის გამოყოფილი, მეფეთ მეფე, მზეთა მზე ცალკალკე დაწერილი. ისინი, როგორც იდიომატური გამოთქმები, შესულია სათანადო (მეფე, მზე) საღვე-სიკონო სიტყვათა რიგში.

განმარტებითი ლექსიკონისაგან განსხვავებით, ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში<sup>16</sup> ძალიაძალი ერთ სიტყვად არის წარმოდგენილი, მეფეთ მეფე, მზეთა მზე, მძღეთა მძღე კი ცალ-ცალკეა დაწერილი. მზეთა მზეს მნიშვნელობაც აქვს მიწერილი (= უმშენერებესი).

ეს განსხვავებული დაწერილობანი რეალურ კითახებას ასახავს — რიგ შემთხვევაში მსაზღვრელ-საზღვრულის ერთ სიტყვად შესრულებული პროცესი დამთავრებულია, სხვა შემთხვევაში კი სიტყვათა შესრულებული პროცესი არ დასრულებულა და ჭირს იმის თქმა, შესიტყვებასთან გვაქვს საქმე, თუ ახალი მნიშვნელობის ფუძესთან, ან: შემაღვენელ ნაწილთა პირდაპირ მნიშვნელობასთან გვაქვს საქმე, თუ ახალ მნიშვნელობასთან. ცალკეულ შემთხვევებში ამგვარმა წარმოებამ შეიძლება ორივე მნიშვნელობა გამოხატოს. მაგ.: განმარტებით ლექსიკონში მეფეთ[ა] მეფე ორივე, როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობითაა დამოწმებული.

I. მეფეთ[ა] მეფე ისტ. მეფეთა შორის უმთავრესი, მეფეთა შორის უძლიერესი, დიდი მეფე, რომელსაც ქვეშვრდომებად სხვა მეფეები ჰყავს. 2. გადატ. ყველაზე უკათვესი, ყველაზე ძლიერი.

<sup>16</sup> ე. თოლურია, ი. გოგინე იშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, ვარლამ თოფურიას რედაქციით, თბ., 1968.

განმარტებით ლექსიკონში საღექსიკონო ერთეულად გამოტანილია პაპისპაპა. ამ სიტყვას ახლავს განმარტება — შორეული წინაპარი. საილუსტრაციო მაგალითებიდან ეს მნიშვნელობა პირველშია გამოხატული („მამით არ მოდის ანდერძი, პაპით და პაპისპაპით“), დანარჩენებში პაპისპაპა შემადგენელ სიტყვათა პირდაპირ, კონკრეტულ მნიშვნელობას გულისმობს:

დათიას შემა, პაპა, პიპის პაპა სულ კულიანები კოლილან (მელან.).  
ოფიც არჩილის არა თუ მამას, არამედ პაპას და პაპის პაპას ცეკვი მოტაციზონი ქალები ჟავადათ შერთული ცოლად (ა. ბელ).

„ძველისძველ“ ტიპის სახელთა მართლწერის საკითხი თრგანულად უკავშირდება ამგვარი წარმოების კვალიფიკაციის საკითხს: უნდა გაირევას, კომპოზიტია მართულმსაზღვრელიანი გაორგეცებული სიტყვები, თუ — შესიტყვება.

ჩვენი თვალსაზრისი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თანამედროვე ქართულში რთული სიტყვების დაწერილობის უკვე აღიარებულ ნორმებს ეფუძნება<sup>17</sup>:

1. თუ მართულმსაზღვრელიანი გაორკეცებული სიტყვებით შემადგენელ ნაწილთა პირდაპირი მნიშვნელობებია გადმოცემული, მაშინ საქმე გვაქვს შესიტყვებასთან და მსაზღვრელ-საზღვრული ცალ-ცალკე იწერება (სიძის სიძე, მტრის მტრი, მოციქულის მოციქული...). მეფეთ მეფე ცალ-ცალკე დაიწერება, თუკი მისი მნიშვნელობაა მეფე, რომელსაც ქვეშევრდომებად სხვა მეფეები ჰყავს, და ერთად დაიწერება — მეფეთმეფე — თუკი მას ხარისხის, უფროობის მნიშვნელობა აქვს: ყველაზე ძლიერი, ყველაზე უკეთესი მეფე.

ა. აღამიანის აღმნიშვნელი სახელის გაორკეცებით მიღებული მართულმსაზღვრელიანი სინგაგმები ხარისხის მნიშვნელობას ნაკლებად გვიჩვენებენ (მტრის მტრი, მჯობნის მჯობი); აქ შემადგენელ ნაწილთა პირდაპირი მნიშვნელობებია ასახული და ამიტომ ისინი ცალ-ცალკე დაიწერება;

ბ. რა ჯგუფის სახელთა გაორკეცებით მიღებული ანალოგიური სინგაგმები კი ხარისხის მნიშვნელობას იძენს: გულისგული = უფრო დიდი გული, სულისსული = უფრო დიდი

<sup>17</sup> თანამედროვე ქართული სალ-ტერატურო ენის ნორმები, პირველი ქრებული, თბ., 1970, გვ. 148—157.

სული, ჭირისჭირი = უფრო დადი ჭირი, ძირისძირი = უფრო ღრმა ძირი... ამიტომაც ეს სიტყვები ერთად უნდა დაიწეროს<sup>18</sup>.

დიალექტებში დადასტურებული ჭადის-ჭადი, პურის-პური, ღომის ღომი სხვა ვითარების აშაბველია: ღომისღომი (იმერ. გურ.) ღომის მარცვლისაგან გაკეთებული ღომი, ჭადისჭადი „მჭადის ნამცხვარი“, პურისპური „კორეკორი. მსხვილმარცვალა პურის (დოლის პურის ან თავთუხს) მოხალავენ, დაუქვეაეენ ხელსაფევავზე და იმის შეჭამანდს ან ფაფას აკეთებენ“<sup>19</sup>. მსაზღვრელისა და საზღვრულის შერწყმით აյ ახალ მნიშვნელობებს ვიღებთ და ამიტომ ეს სიტყვებიც ერთად დაიწერება.

2. ზედსართავ სახელთა მართულფუძიანი გაორეუცება ყველა შემთხვევაში უფროობითი ხარისხის გაგებას იძლევა (ძველისძველი, ძველთაძველი...) და ერთად უნდა დაიწეროს;

3. ერთად იწერება შვილიშვილი, ძველიძველი, გულიგულში... ფორმები, რომელთაც მსაზღვრელის ნათ. ბრუნვის (-ის) ნიშნის თანხმოვნითი ელემენტი ეკვეცებათ.

<sup>18</sup> „ვასუ ხის პასუ ხი“ (მაგ., ილია ჭავჭავაძისა) და შისთ. ცალ-ცალკე ღია-წერება, რაღანაც ეს სინტაქტი შემაღვენელი კამპონენტების პირდაპირ მნიშვნელობას გადასცემს. შოულოდნელა არ იქნება მისა უფროობითი ხარისხის მნიშვნელობით დატვირთვაც: პასუ ხისპასუ ხი = ძლიერი პასუხი, უკეთესი პასუხი.

<sup>19</sup> ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სპბ., 1912; ალ. ბერიძე იღ. ბოტანიკური ლექსიკონი, იპ., 1961; ა. ღლონტი, ქართულ კილ-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984, მეორე გამოცემა; სტ. მენაგვაზავილი, ქონიური ლექსიკონი, თბ., 1943.